საია 29 აპრილს ,,კურიერში“ გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

29 აპრილს 9 საათიან ,,კურიერში“ გავიდა სიუჟეტი, რომელიც ტ. მამაგულაშვილის საკონსტიტუციო სარჩელის განხილვას ეხებოდა. აღნიშნულ სიუჟეტში ნათქვამი იყო, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის მიუხედავად, სასამართლო კვლავაც განაგრძობს მისი საქმის განხილვას. ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლოში ტ. მამაგულაშვილის ინტერესებს იცავს საია, აუცილებლად მივიჩნევთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით განმარტების გაკეთებას.

გვინდა აღვნიშნოთ, რომ საია ტ. მამაგულაშვილის ინტერესებს იცავს კანონით დადგენილი წესის სრული დაცვით. მოსარჩელეს არ უთქვამს უარი საკონსტიტუციო სარჩელის განხილვაზე. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის დროსაც (2012 წლის 6 ივლისი) და დღესაც, საია მოქმედებდა და მოქმედებს მოსარჩელის მიერ გამოხატული ნების შესაბამისად. ამას ადასტურებს ტ. მამაგულაშვილის მიერ ,,კურიერში“ გასული სიუჟეტის შემდგომ გაკეთებული განცხადებაც. (იხ. მიმაგრებული დოკუმენტი).

ამავე სიუჟეტში ასევე გავრცელდა ტ. მამაგულაშვილის მეუღლის (რომელიც არ არის მოსარჩელე საკონსტიტუციო სასამართლოში განსახილველ საქმეში) ინტერვიუ, სადაც ის დავის გაგრძელებაზე უარის თქმის თაობაზე საუბრობს. გვინდა აღვნიშნოთ, რომ მის მიერ ჟურნალისტისათვის მიცემულ ინტერვიუში ნახსენები საქმე შეეხებოდა სხვა სასამართლო დავას და არა საკონსტიტუციო სარჩელს. ვფიქრობთ, რომ ადგილი ჰქონდა ჟურნალისტსა და რესპოდენტს შორის არასწორ კომუნიკაციას, რამაც გამოიწვია ფაქტების არასწორი ინტერპრეტაცია.

შესაბამისად, მზად ვართ დაინტერესების შემთხვევაში მედიასაშუალებას დამატებითი სამართლებრივი განმარტებები მივაწოდოთ.

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge